ადრესატი:

თეონა ახალაშვილი
სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური-III-IV კლასის შენობა–ნაგებობების სანებართვო განყოფილება-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი)

წერილის ნომერი:**18-01181973606**
თარიღი: **16/07/2018**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა განიხილა, თქვენი 2018 წლის 11 ივლისის #60-01181921161 წერილი (AR1612507), რომლითაც ითხოვთ, ქ.თბილისში, იმედაძის ქ #47 (ს.კ.: 01.14.08.009.011) შპს „ჯეო-ქია ბილდინგ“-ის სამშენებლოდ გამოსაყენებელ ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთის გამწვანების პროექტის შეთანხმებასთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას.

გაცნობებთ, რომ ვინაიდან ტერიტორიაზე არსებული ხე-მცენარეების რაოდენობა (7 ძირი კაკალი, 3 ძირი დაფნა, 3 ძირი კავკასიური აკაკი, 2 ძირი თუთა, 1 ძირი ტყემალი და 4 ძირი კურდღლის ცოცხა) სრულად ითვისებს კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (253,1 კვ.მ) და ისინი ქ. თბილისის კლიმატისა და ლანდშაფტის შესაბამისია, სამსახური თანახმაა წარმოდგენილი სახით შეითანხმოს გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტის, მას შემდეგ რაც განმცხადებელი წარმოადგენს დენდროლოგიური პროექტის საინფორმაციო დაფას, რომელშიც უნდა მიეთითოს :

• კ-3 კოეფიციენტის ფართობი;

• გასაშენებელი ხე-მცენარეების რაოდენობა (მათ შორის დახასიათება - ხნოვანება, სიმაღლე); (დასარგავი ხე-მცენარეების სახეობა უნდა აარჩიოთ, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან).

• გამწვანების პროექტის დასრულების თარიღი;

• გაშენებული ხე-მცენარეების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი პირი;

• გაშენებული ხე-მცენარეების მოვლა-პატრონობის ხანგრძლივობა.

საინფორმაციო დაფაზე გამწვანების პროექტი ვიზუალურად უნდა გამოისახოს მაკეტის ან/და ფოტომონტაჟის სახით. საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტი უნდა იყოს A2 ზომის ფორმატის შესაბამისი. საინფორმაციო დაფა უნდა შენარჩუნდეს სამშენებლო სამუშაოების წარმოების მთელი პერიოდის განმავლობაში და მოიხსნას შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)